საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030136540976917

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/59098 **20 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, გამოძახებების მართვის ელექტრონული სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, ესაჭიროება ორი არსებული სერვერის გაძლიერება და დამატებითი სერვერის, უწყვეტი კვების წყაროსა და კომპიუტერების შესყიდვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის“ პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნების ზრდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების დროს გაუვალ ადგილებში საჭირო მომსახურების უზრუნველყოფისა და სამედიცინო აპარატურის და სხვა ინვენტარის ოპერატიულად ტრანსპორტირებისათვის ცენტრს ესაჭიროება 4 ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვა. ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც ხორციელდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდება ქვეყნის ტერიტორიაზე, საჭიროებენ სპეციალური განმასხვავებელი ნიშნების განახლებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“ პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნების ზრდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე